# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

ერევნის მოედანზე, შუასაზღვრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ტუმანიშვილის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“ и „Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უფასოთ ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.



1 ენკენისთვიდამ წლის დამლევამდის

**დროება**

ღირს სამი მანეთი

**ივერია**

ოთხი მანეთი

„დროება“ და „ივერია“ ერთად

შვიდი მანეთი


## მზე დასავლეთიდამ.

ტფილისი, 10 ენკენისთვეს.

ჩვენის გაზეთის გუშინდელ №-ში დაბეჭდილი ქუთაისური ტელეგრამმა ბროსსეს პანაშვიდზე და მის სახელის პრემიის დანიშვნაზე ერთობ სამხიარულო ამბავია, რომ ორი-ოდე სიტყვა არა ვთქვათ ამის გამო.

აქ, ტფილისშიაც, უნატრეთ ბროსსეს საუკუნო განსვენება და ვიწყინეთ მისი სიკვდილი, მაგრამ ჩვენი ნასადილევის მწუხარება ტყუილა უბრალო მწუხარებათ დარჩა. ერთი „უჰ“ დავიძახეთ, ერთი „აცხონოს ღმერთმა“ დავაძატეთ და მშვიდობით. მტკვარმა თავისი დენა არ მოიშალა, სიონის დიდმა ზარამ თავისი გუგუნი...

ხარაქტერისტიკულია ეს ფაქტი.

ქართლ-კახეთი ყოველ-გვარათ შემკულია ბუნებისა და ისტორიისგან. სიმდიდრე, ჭკუა, გონება, მხნეობა მამულის სიყვარული, უმაღლესი სასულიერო და სამოქალაქო ადგილები, ათას-გვარი სხვა და სხვა საზოგადო დაწესებანი სულ ქართლ-კახეთში არიან, მაგრამ ამ დიდების პატრონი ქართველნი ისე გულით უყურებენ თავის ქვეყნის საზოგადო საქმეებს, როგორც ჩვენ უყურებთ, რა ვთქვა... ტაიტის საფრანგეთთან შეერთებას.

იმერეთი კი ბევრათ ნაკლეთ არის დაჯილდოებული ბუნებისაგან. იმერეთი არც კახურით არის ნაქები, არც სიმდიდრით, არც მაღალი ჭკუით; იქ არც საზოგადოებები არიან. არც ბანკები, არც ბიბლიოტეკები, არც მუზეუმები, მაგრამ.....

იმერელი, საცა არ გგონია, ამოჰყოფს თავს და შეებმება საზოგადო მამულის უღელს.

აი თუნდა ეხლა. ბროსსეს, უეჭველია, საზოგადო მნიშვნელობა ქონდა ჩვენი ქვეყნისათვის. ტფილისში გაიმართა იმის მოსახსენებელი პანაშვიდი. ვინ იყო იმ პანაშვიდზე?— რედაქცია თავის ცენზორით, ორიოდე მასწავლებლები, ათიოდე სემინარიელები და გიმნაზიელები, ერთი მოხუცი გენერალი და ერთი ძველი ფოჩტის ჩინოვნიკი. არც ერთი ქალი, არც ერთი კაცი, ამათ გარდა, არ იყო პანაშვიდზე; ქუთაისში კი როგორც გვწერს კორრესპონდენტი, ფრანგების ეკკლესია „სავსე იყო ხალხით.“ იქ ბროსსეს პანაშვიდს მისცეს ის ხასიათი, რომელიც უნდა ჰქონოდა იმას, ე. ი. ხალხის პატივისცემის მანიფესტაციისა.

მაგრამ ამას მარტო არ დასჯერდა იმერეთის საზოგადოება. იმათ განაცხადეს სურვილი დააწესონ „ბროსსეს პრემია“ იმისთვის, ვინც დასწერს უკეთესს საქართველოს ისტორიას. პატივისცემას და ვალის გადახდას დაამატეს სარგებლობაც.

ძერე რატომ ამ გვარი გულ-გრილობა ამერთაგან? ვერ იცნობდნენ აქ ბროსსეს შრომას, თუ არ აფასებენ ბევრათ მის ისტორიულ ღვაწლს? აფასებდნენ კიდეც და უფრო ბევრათ, ვინემ იმერეთში, იცნობდნენ კიდეც და უფრო დაახლოვებით ვინემ იმერეთში, მაგრამ ამერელის ახალი საქმის ხელის მოკიდება, ინიციატივა მოძრაობა, ადგომა ისე ეზარება თითქო ზურგზე ორმოც-და-ათი ფუთი ტყვია მკიდოსო. მდაბიურათ რომ ვთქვათ ამერელი ზარმაცია.

ამ გვარ საზოგადოებაში ძნელია საზოგადო საქმეების ინიციატივა დაიბადოს. აქაურს ყრილობაში და მუსაიფში არ არის ის გატაცება, ის *élan*, რომელიც მიუძღვის ყოველს საზოგადო საქმეს. უამისოთ ქართველი ხალხი სულ ერთ ადგილზე იძახებს „წინ წავდგათ ფეხს“, როგორც ოპერებში ხორი „წავიდეთ-წავიდეთს“ იძახის და ერთ ადგილზე კი აბაკუნებს ფეხებს.

ამ გვარი სურვილი და გადაწყვეტილება იმერლებისა, იმერლების ტემპერამენტთან, იმედს გვაძლევს, რომ მომავალშიაც იმერლები არ დასტოვებენ ამ საზოგადო გზას, რომელსაც ისენი ადგანან.

მაშინ შეგვეძლება ვთქვათ, პალცოვის სიტყვების პარაფრაზით: მზე დასავლეთიდამ ამოუდის საქართველოს.

ლელო.

## ახალი ამბები

6 ამ თვისას სოფ. ახალ-სენაკში გაუხსნიათ სასოფლო სასწავლებელი. შაგირდების რიცხვი ოთხმოც-და-ოთხია.

***

ქუთაისიდამ იქაური სავაჟო გიმნაზიის ერთი მახლობელი პირი გვწერს:

„როგორც მოგეხსენებათ ჩვენი

---

დროების ფელეტონი, 10 ენკენისთვე

## ისტორია იესო ქრისტეს ტანჯვისა და სიკვდილისა *)

წერილი გერმანიიდგან.

(დასასრული)

იმ საღამოს მე და ჩემი ამხანაგი ობერამმერგაუში დავრჩით და გადავსწყვიტეთ მეორე დილით ადრე ფეხით გვემგზავრა ამ გორებში რკინის გზამდინ (მურნაუში). დილა დავიდგა მშვენიერი. შვიდ საათზედ გაუდექით გზას. ბუნების აღწერა არ უნდა მკითხველს, თუ იმას როდისმე უვლია ვლადიკავკაზიდგან ტფილისამდე ანუ ტფილისიდგან ზომბორზედ. ბევრათ თუ ცოტათ ეს გორები მაგონებდნენ ამ ნათქვამ გორებს. ხან გამოჩნდებოდა, ხან იმალებოდა ერთი გლეტჩერი და იმის გვერდზედ მაღალი გორის წვერი (ცუგ შპიც). მალ-მალ გვხვდებოდა ჯვარ-ცმა და ღვთისმშობელი, ან პატარა გათლილი ქვები ზედ წარწერით, აქა და აქ ეს ივანე ან პეტრე ერთბაშათ მოკვდა, იქ ავთანდილე კლდეზედ დაგორდა და სხვა. აქა-იქ გხვდებათ სოფლები ყველაფრით შემკობილნი. გასაკვირველია ამ პატარა სოფლებში ეკკლესიების სიმშვენიერე, ეტყობათ, რომ ესენი ფულს არ ზოგვენ ამ ეკკლესიებისთვის. მოვატანეთ ერთ პატარა სოფელს. გზაზედ იდგა ერთი სახლი—სასტუმრო და იმის გარეშემო ხუთი-ექვსი სხვა სახლები. ეს არის სოფელი ეშელოე. სხვა ამისთანა პატარა სოფლებში რომ შკოლები არ მენახა, არ წარმოვიდგენდი, რომ ამ ათ კომლს თავისი შკოლა ექნებოდა. მაგრამ ეხლა ამაში ეჭვი არა მქონდა. მართლაც გავიხედ-გამოვიხედე და სწორეთ იმ ბაღჩის გვერდზედ, სადაც ჩვენ ფეხებს ვასვენებდით და ნამეტურის ლუდით გულს ვიგრილებდით, ერთი კეკლუცი ორ ეტაჟიანი სახლი იდგა, წინ შავი ფიცარი ეკიდა ზედ-წარწერით: „შკოლა“ (შულ-ჰაუს). ჩემ ამხანაგს უთხარი, რომ მე ეხლა პურს არა ვსჭამ და ვინამ შენ პურის ჭამას გაათავებ მე აქაურ შკოლას დავათვალიერებ-მეთქი. ერთ მინუტში მასწავლებელთან დავიბადე და ვსთხოვე ნება მოეცა შკოლა დამეთვალიერებინა, უთხარი ჩემი გვარი, როგორც მიღებულია, და ჩემი ქვეყნის სახელი. დიდი გაკვირვება, რომელიც ჩემმა სიტყვებმა მოახდინეს ამაზედ, დამალა და ამ პატარა ჭაღარა კაცმა ხელის მოუშორებლივ კიბეზედ ამატარა.

აქ შევნიშნავ მიზეზს, რისთვის და რა გაუკვირდა ამ ნახევარ კაცს. დიდსა და პატარას, ნასწავლსა და უსწავლელს ძალიან ცუდი შეხედულობა აქვთ რუსეთზედ. ცოტა-და უკლიათ სთქვან, რომ რუსეთის ხალხი ტყიდგან გამოვარდნილი ნადირები არიანო. მგონი ეს პატარა კაცი ფიქრობდა: „როგორ, ეს კაცი რუსეთიდგან არის და შკოლის ინტერესი კი აქვს?!! მე გადავავლე თვალი ამ პატარა სუფთად მოწყობილს სასწავლებელს და სხვა-და-სხვა საჭირო სასწავლო ნივთებს და ვკითხე:

— რამდენი წლისანი შემოდიან თქვენ სკოლაში ყმაწვილები?

— ექვსისა მომეტებულათ და უფრო ნაკლეთ შვიდისა.

— რამდენი შაგირდი გყავთ?

— ოც-და-ათი.

— ყველანი დადიან?

— მაშა! მითხრა ღიმილით და ამ ღიმილში მე ეს კითხვა წავიკითხე: „ეს რა კითხვაა?“

— რამდენი განყოფილება გაქვთ?

— სამი და სამთავეს ერთსა და იგივე დროს ვასწავლი.

— სამი?—ვკითხე იმნაირად, რომ ეს პატარა კაცი გამოვიწოდე ამ კითხვაზედ ცოტა მეტი რამ ეთქვა.

— რა არის? აი ჩემი ნაცნობი მასწავლებლები მატყობინებენ რომ ოთხ-ოთხი განყოფილებაცა აქვსთ ერთ სკოლაში.

აქ მომიყვა ეს კაცი მთელი ლექციის კითხვას იმაზედ, თუ რა მიზეზები ატანენ ძალას მასწავლებელს ერთ კლასში რამდენიმე განყოფილება იქონიოს. აქ ილაპარაკა ბუნებითი ნიჭზედ, მეცადინეობაზედ, ფიზიკურ ძალაზედ და ჯაფის ატანაზედ, ერთი სიტყვით ყველა იმაზედ, რაც შეადგენს პედაგოგიის ანაბანას.

— მაშ რა ვქნათ?—გაათავა თავის ლექცია ამ სიტყვებით: თუ ნიჭიერი ყმაწვილი წინ მიდის ხომ ვერ ვეტყვით რომ ცოტა ისწავლოს? ყველას.....

— ეგ ხომ ჭეშმარიტია, მაგრამ დიდაქტიკური მხრიდგან რომ შეჰხედოთ ამ საგანს, მაშინ რას მეტყვით? დავიჯეროთ, რომ თქვენთვის ოთხ ან სამ განყოფილებასთან საქმის დაჭერა

*) იხილე დროება № 190.

გიმნაზიის შაგირდები სიმდიდრით ვერ დაიკვეხიან: უმრავლესი მათგანი ძლივს სულს ატანს ცხოვრების სიძვირის წყალობით, და დანარჩენები კი სხვა-და სხვა ქველ-მოქმედი პირთა, ანუ საზოგადოების დახმარებით სცხოვრობს. ამის შემდეგ, წარმოიდგინეთ რა დიდი მნიშვნელობა ექნება მათთვის სახელმძღვანელოთა იაფად თუ არა, შესაფერ ფასად ყიდვას მაინც. მაგრამ ამ უბრალო აზრამდი ვერ მიუღწევნია ჩვენი გიმნაზიის მთავრობას, რომელიც ყოველისფრით ხელს უწყობს წიგნის ვაჭარს მ—დოვს და არაფითარ საჭირო ცნობას არ აძლევს ბ. ზერარდის და ამხ. წიგნის მაღაზიას, რომელიც ყველაფერს 10 20 პროცენტით უფრო იაფად ჰყიდის პირველზედ. მაგალითად: ამ ერთიოდე კვირის წინად როცა გიმნაზიის პედაგოგიურმა რჩევამ გადასწყვიტა შაგირდებისათვის საჭირო წიგნების სია ორთავე ზემოხსენებული მაღაზიებისათვის ეცნობებინათ, გიდაცას ოინით ნამდვილი სია მარტო მურადოვს გადაეცა და ზერარდის მაღაზიას კი ყალბი გაეგზავნა: მასში მალინინის ფიზიკის მაგიერ მოთხოვნილი იყო კრაევიჩის ფიზიკა, ტრიგონომეტრიის სახელმძღვანელო სულ არ იყო მოხსენებული და სხვ. და სხვ. მურადოვმა მიიღო წიგნები და ჰყიდდა 20 პროცენტით უფრო ძვირად იმ ფასზე, რომლითაც გაჰყიდდა ზერარდი რომ მისთვის ეცნობებინათ.

ავი ენები ამბობენ, რომ გიმნაზიის მთავრობასა და მურადოვის შორის სხვა ნაირი ანგარიშები არისო, მაგრამ დაეჯერებათ თუ არა მათ ეს თვითონ მკითხველმა განსაჯოს ზემომოყვანილის მაგალითით“.

* * *

დიდის სიამოვნებით ვასწორებთ შეცდომას, რომელიც გუშინ, გაზეთის სიჩქარით შედგენით მოგვივიდა. კნ. ანდრონიკოვი, რომლის თავის მოკვლა გამოვაცხადეთ ჩვენ გუშინ, თუმცა მძიმეთ არის დაჭრილი, არ მომკვდარა. იმედი აქვთ, რომ ეგების სიკვდილს კიდეც გადაურჩესო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**კახეთი, 5-ს სეკტემბერს...** კარგა ხანია აგრილდა კახეთი. მარიამობისთვის ცამეტიდამ კავკასიის მთა-გრეხილი შეიმოსა თეთრის სუდარითა—თოვლითა, რომლის სიო ჰსცემს და აგრილებს გამოღმა მხარსა. პური ბევრი მოვიდა ყველგან და მშვიდობიანადაც შემოიტანეს და ბეღლებში ჩაყარეს, მშვენიერი წითელი ხორბალი. რაკი პურზედ ჩამოვარდა ლაპარაკი,—ბარემ ყველაფერს ვიტყვი ამ მცენარეზედა. კახეთში, თელავის მაზრაშიაც ისეთივე განცხადება და ბრძანება გაიგზავნა ადმინისტრაციისაგან პურის შესახებ, როგორიც ბორის მაზრაში და, ვგონებ, უფრო ცხარე და მომეტებულიც. შარშანდელი პური ბევრია კახეთში, მაგრამ პური ამ ჟამად ისევ ძვირია კახეთში: კოდი არა ნაკლებ სამის მანეთის და ათის შაურისა. ქერი-ორი და ორი აბაზია კოდი. ამ სიძვირის მიზეზი ის გახლავთ, რომ თიანეთში, ფშავ-ხევსურეთში და ლეკში ერთობ ძრიელ ცოტა პური მოსულა: თიანეთში გაზაფხულის წვიმების გაუფუჭებია და ფშავ-ხევსურეთში-კი სეტყვასა. მაინცა-და-მაინც იმედი გვაქვს, რომ პურის ფასი თან-და-თან უფრო დაბლა დაიწევს. ღირსებით-კი მეტად მშვენიერია წლევანდელი პური კახეთში. ზოგიერთის სოფლის ვენახებს დიდი ზიანი მისცა სეტყვამ: აწყური, იყალთო, რუის-პირი და ვარდის-უბნის ბოლოს ვენახები; შალაური ისე ნაირად არიან დასეტყვილნი ზოგი-ერთი ხსენებულის სოფლების ვენახები, რომ წლეულ-კი არა, იქნება, სამის წლის შემდეგაც ველარ გამოდგნენ ვაზები: ერთი ფოთოლიც აღარ შეარჩინა ზოგი-ერთს ზვარს სეტყვამ!.. რაიცა შეეხება ღვინის ფასსა,—მე ისე იაფად ჩემს დღეში არ შევსწრებივარ ღვინის სიიაფესა, როგორც ახლა არის: თელავში თუნგი ექვსი შაურიდამ იწყობა და ორ-აბაზედ გემრიელს ღვინოს იშოვით. სოფლებში ჩაფს ღვინის მანეთად (საპალნე სამ თუმნად) კარგს იშოვით. ერთის სიტყვით ბევრია ამ ჟამად კახეთში ძველი ღვინო, განსაკუთრებით გაღმამხარში. გაღმა მხარშიაც დასეტყა ვენახები ს. სანიოსეში, ართანაში და ნაფარეულში. წელს, 14-ს ეკენისთვიდამ ალავერდში იქნება გამართული იარმუკა ათის დღის განმავლობაში. ინებოს ღმერთმა, რომ ეს დაწესებულება სასარგებლოდ ყოფილიყოს ჩვენის ხალხისათვის... ახალი ამბავი: ამ ერთის კვირის წინად სფ. შალაურს ტყეში იპოვეს თელავში მოსამსახურე პირთ ერთი ძველი საფლავი, რომელშიაც ნახეს სამი სამაჯე (ბრასლეტი), რომლებიც სიმჟაველში (კისლოტა) გაშინჯვის შემდეგ, როგორც ამბობენ, ოქროები გამომდგარან. თვით საფლავი თიხისაა თონესავით რგვალი და მორგძო. ვგონებ ეს საფლავი მეტად ძველი უნდა იყოს. ამის შესახებ დაწვრილებით გაცნობებთ შემდეგს წერილში.

კახელი.

**სოფ. ბაკურციხე. 5 სეკტ.** „დროებაში“ იყო განცხადება სიღნაღის მაზრის მარშლისაგან, რომ შეყრილიყვნენ თავად-აზნაურნი სოფ. ბაკურციხეში 31-ს აგვისტოს თავად-აზნაურთ შვილების სწავლა-განათლების საშუალების აღმოსაჩენად. ველოდებოდით სულით და გულით იმ დღეს, რადგანაც მაშინ უნდა გადაწყვეტილიყო ჩვენი უგულითადესი სურვილი შვილების აღზრდისა. დანიშნულს დროზე თითქმის მთელი სიღნაღის თავად-აზნაურნი იყვნენ შეყრილნი მათ წინამძღოლის სახლში.

12-ს საათზედ მარშალმა წაიკითხა მოწერილობა „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კამიტეტისა, რომელიც თხოვდა ყველა მაზრის თავად-აზნაურთა მათი შვილების სწავლა-განათლების საშუალების მოპოვებას.

წაიკითხვის შემდეგ მარშალმა წარმოსთქვა რამდენიმე სიტყვა, რომ ახლა უსწავლელი არ ვვარგვართ, რომ ჩვენი მხსნელი სწავლაა და სხვ. და სხვ. მარშლის სიტყვის გათავების შემდეგ გაიმართა ბაასი. ყველას უნდოდა თავ-თავის ღონისძიება ეპოვნა. მაგალითად: თ. ი. ვაჩნაძემ წარმოსთქვა ჩვენს გვარს აქვსო გაუყოფელი მამული ალაზანს გაღმა, რომლიდამაც სარგებლობა ღონეზედ და ტაციობაზედ არის დამოკიდებულიო. მოვსპოთ ამ ტყის ამ ნაირი სარგებლობა და

---

ადვილია? დავიჯერო რომ მაგალითით თქვენ მეტს და უფრო კარგათ არ მაასწრობდით მარტო ორ განყოფილებაში?

— ჰო! ეგ სხვა არის, რასაკვირველია, მეც მოვასწრობდი. თუმცა ჩვენ არა გვაქვს ცუდი დისციპლინა, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ადვილია ბევრ განყოფილებასთან საქმის დაჭერა? ბაშვის ამბავი ხომ იცით, რომ მოუსვენარია, ერთსა და იგივე დროს სამ განყოფილებასთან უნდა იყვნეთ. როგორ უნდა შესძლოს ეს მასწავლებელმა ოთხი გაკვეთილი მისცეს დღეში ამ პირობეებში? იმას გარდა განა ცოტა დრო მიდის სამი განყოფილების „კომანდოს“-ში? რასაკვირველია კარგი იქმნებოდა, რომ „ყველა ორ განყოფილებასთან ერთ მასწავლებელს ჰქონოდა საქმე, მაგრამ რა ფული ღირს ეს?

— თქვენც გაქვთ ხოლმე ამ გორებში რევიზია?

— რასაკვირველია.

— რა მნიშვნელობა აქვს თქვენში რევიზიას?

— მოვა რევიზორი, შკოლის ავკარგს შეიტყობს და თუ აკლია რამე შკოლას, მაშინ მოსთხოვს მთავრობას ფულს და მთავრობას არ შეუძლიან უარი უთხრას. აქ ვიფიქრე ჩემ გულში, რომ ეს ბევრათ თუ ცოტათ ტყუილი იყო, რადგანაც ეხლა გერმანიას სხვა ჭირი აქვს და თუ მომეტებული ფული აქვს, ზარბაზნებს ახმარებს. ესეც კარგათ ვიცი, რომ ბევრი მაგისთანა კითხვები ეხლა მიუნხენში სტოლის სუფრის ქვეშ შედეს, მაგრამ მე არა უთხარი-რა ამ პატარა კაცს...

ორ საათს ვაკზალისკენ გავემგზავრეთ. ყველა სტანციები იყო შემოსილი ყვავილებით და ბაირაღებით, ყველგან იყო დიდი მზადება და ფაცაფუცი. მეორე დღეს (25 აგვისტოს) ვიტელსბახების (ბავარიის კოროლის გვარი) 700 წლის მფლობელობის იუბილეი იყო. ოთხი საათის შემდეგ შევედით მიუნხენში, რომელიც ლურჯათ და თეთრათ შეღებული იყო (ლურჯი და თეთრი ფერი ბავარიის სახელმწიფოს ფერებია — ბაირაღებზედ).

ამ ბაირაღებზე ორიოდე სიტყვა სცემს ნათელს გერმანიის სახელმწიფოების ურთიერთ კავშირს ანუ ეგრეთწოდებულს „გერმანიის კავშირს“. გაზეთი „*Vaterland*“ სწერს ამ შემთხვევაზედ შემდეგს: გაზეთმა „*Neueste Nachrichten*“ ერთხელ კიდევ გამოითხოვა ხალხის უკმაყოფილობა. იმ დროს, როდესაც მთელმა მიუნხენმა გამოფინა მარტო თეთრ-ლურჯი ბაირაღები, მაშინ დაიწყო ნათქვამმა გაზეთმა უადგილო ხუმრობა და გამოფინა თავის რედაქციის წინ ბავარიის ბაირაღის გარდა სამ-ფეროვანი ბაირაღი (თეთრი, წითელი და შავი, რომელიც არის ნიშანი „გერმანიის კავშირისა“.) ამან ძალიან გააჯავრა მიუნხენელები, მაგრამ, რადგანაც რედაქცია შეუპოვრათ აფარფარებდა ამ სამ-ფეროვან ბაირაღს, შეგროვდნენ რედააქციის წინ 8 საათზედ ბევრი ათასი პირები და დაიწყო ისტორია. ასტყდა ერთი საშინელი ყვირილი, შტვენა, ძახილი: „მამულის მოღალატე“ და ამ გვარი სხვა კომპლიმენტები. გაჯავრებულ ხალხს უნდოდა, რომ ეს სამ-ფეროვანი ბაირაღი ამათთვის ხელში მიეცა, მაგრამ ეს მდომა რომ არავინ აუსრულა, ადგებოდნენ ერთმანეთს მხრებზედ, რომ ეს ბაირაღი ძირს ჩამოეგლიჯნათ და ლუკმა-ლუკმა დაეგლიჯნათ, ან დაეწვათ. ამ სახლში მცხოვრებლებს შეეშინდათ, რომ ხალხი არ ამოცვივდეს და სახლს ნგრევა არ დაუწყონო. ბოლოს შეიტანეს ორთავე ბაირაღები (როგორც ბავარიისა—ლურჯ-თეთრი, ეგრეთვე „გერმანიის კავშირისა“—სამ-ფეროვანი). ამით არ დაკმაყოფილდა ხალხი და ყვიროდა: თეთრ-ლურჯი გამოფინეთ, თეთრ-ლურჯი! ნებით თუ უნებურათ, რედაქცია იძულებული იყო თეთრ-ლურჯი ბაირაღი ისევ გამოეფინა და სამ-ფეროვანი შინ დაეგდო. მარტო მაშინ დაკმაყოფილდა ხალხი და დაიფანტა სიცილით, შტვენით და სასაცილო სიტყვების ძახილით. მარტო ჟანდარმების მადლობლები უნდა ვიყვნეთ, რომლებიც ტკბილის ლაპარაკით აშოშმანებდნენ ხალხს, რომ საქმე ამით მორჩა. ყველანი გაცხარებულები იყვნენ; მიუნხენელებს ხანდისხან არ ესმით ხუმრობა.—როგორც შემდეგ კერძო ლაპარაკიდგან შევიტყე, რედაქტორი ამ გაზეთისა პრუსიელი ყოფილა. აი ამას ეძახიან „გერმანიის კავშირს“!

შ. ისაკიძე.

მიუნხენი, 2 აგვისტოს.

(დასასრული)

მისი ორი წლის შემოსავალი, რომელიც შეადგენს ხარჯ-გარეითად უკანასკნელს 10,000 მანეთს ჩვენი შეილების სწავლა-განათლებას მოვახმაროთო. ამ სიტყვას უმრავლესობა დაეთანხმა, მაგრამ მისი ასრულება შემდეგისთვის დარჩა, რადგანაც არ შეეხებოდა საზოგადო ყრილობას. საქმის ყოველის მხრით განსჯის შემდეგ საზოგადო ყრილობამ ხმის უმრავლესობით დაადგინა: ყველა თავად-აზნაურთ უნდა შეიტანონ სამი წლის განმავლობაში ორი თუმნიდამ ვიდრე ოც თუმნამდის; შეტანამდე უნდა აძლიოს კამიტეტს 5%.

ამავე ყრილობამ ამოირჩია კომმისია რომელსაც შეადგენს თავმჯდომარე (მარშალი) და რვა წევრი თავად-აზნაურთაგან. ამ კომმისიას მიანდეს გაწერა შეძლებისდაკვალათ თავად აზნაურთაგან ნაკისრი გადასახადისა.

მაგონილი მქონდა სიღნაღის მაზრაზედ, რომ ის მუდამ მსხვერპლია ყოველ კეთილ საქმეში და მართლაც ისე ყოფილა: თფილისში ბანკი გახსნეს და სიღნაღელებმა სხვა მაზრებზე უფრო მომეტებული შეიტანეს, ეს საქმეა და იმედი არის ამასაც სხვა მაზრებზე უფრო მეტს მოახმარებენ.

გარეში მყოფი.

# ნარკვევი

*** რუსულს გაზ. „მოლვაში“ წინა სტატიად დაბეჭდილია შემდეგი „სიტყვა შორეულის განაპირის სასარგებლოდ:“

„იმ ხმების გამო რომელნიც გვარწმუნებენ რომ მმართებლობა აპირებსო 60 წლ. დაწყებულს რეფორმების გზაზედ დაბრუნებასო, უნებლიეთ გვახსენდება ჩვენი ერთი განაპირთაგანი, რომელიც არ გვგონია რომ უმეტესად არ საჭიროებდეს რეფორმებს. ჩვენ ვამბობთ კავკასიაზე, სადაც არა თუ ერობა არის, არამედ 1864 წ. „სამსაჯულო დებულებანიც“ კი არსებითადი ცვლილებით იქმნენ შემოღებულნი. კავკასია მოკლებულია ნაფიცთ სასამართლოს, ამორჩეულთ მომრიგებელთა მსაჯულებს, გამამტყუნებელ კამერას. ახალთ სასამართლოების თორმეტის წლის მოქმედებამ ამ მხარეში საკმაოდ დაამტკიცა, რომ ამისთანა მდგომარეობა უხამსია, ანორმალურია. იქაური სახაზო მსაჯულები, რომელნიც ამორჩეულთ მსაჯულთა მაგიერობას შვრებიან, სრულიად არ იცნობენ ადგილობრივთ მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებას, მათს ენას და ადათს; ამის გამო, და იმ მიზეზთაც, რომ ისინი იძულებულნი არიან ბრალდებულთა ხვედრი მარტო „ქაღალდზე უსულდგმულო ნაწარმოების“ მიხედვით გადასწყვიტონ, ხშირად იმისთანა შემცდარს განაჩენს ადგენენ, რომ ადგილობრივს ხელისუფლებას მითი სახელს უტეხენ ხალხში.

მაგ. ვთქვათ, ქართველი წაეკიდა ვისმეს და ადგილობრივის ჩვეულებისამებრ (!) „ურჯულო“ და „ულვთო“ დაუძახა. ეს სიტყვები, უმეცართ მთარგმნელების სიტყვითი-სიტყვად თარგმნის წყალობით ღვთის გმობა გამოდის და ბრალდებული, რომელიც მხოლოდ პირადობის შეურაცხ-ყოფისთვის უნდა დასჯილიყო, ციმბირში იგზავნება. მეორე მაგალითიც ვნახოთ. თითქმის ყოველ დღე თავს იჩენს კავკასიელთ შორის სასერვიტუტო დახლართული საქმეები, რომელთაც მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვთ. კანონის მოთხოვნილებისამებრ, ეს საქმეები დაწერილთ კანონების მიხედვით კი არა ადგილობრივის ადათისამებრ უნდა განისამართლონ. მაგრამ კავკასიის ადათის ერთი „კრებაც“ კი არ არის და მსაჯულმა ის იცის, როგორც ჩინური ანბანი.

„ამ მიზეზთა წყალობით ეს საქმეები უჯრებში ინახებიან, და რაც უნდა კარგად წაიდეს საქმე მაინც იმისთანა მიმართულებას აძლევენ მათ, როგორც ჩვეულებრივს, კანონისაგან წინასწარ მიხვედრილს უფლების დარღვევას. ამისთანა უსამართლობანი, რომელნიც აუცილებელნი შედეგნი არიან სამართალის წარმომადგენელთა ადგილობრივთ მცხოვრებელთაგან განცალკევებისა, დიდ-ძალი მოგროვდა კავკასიაში სასამართლო რეფორმის შემოღების შემდეგ.

„ნაფიცთა სასამართლოის და ამორჩეულთ მსაჯულების მაგიერ ბიუროკრატიული დაწესებულებათა შემოღება, ზემოხსენებულთ უწესოებათა გარდა იმდენ დამაბრკოლებელთა მიზეზებს ჰბადებს, რომ ფრთას ჰკვეცს ამ დაწესებულებათა ხალხისათვის გამოსადეგობას. ნაფიცთა სასამართლოის მაგიერ ორს უწყებაში შემოღება სახაზო სასამართლოებისა მომრიგებელი იუსტიციის ასპარეზის ერთობ გავრცელება და, აგრეთვე, სასამართლოში საქმეების რუსულ ენაზე წარმოება, (რომელიც მთარგმნელების მომეტებულს მოქმედებას მოითხოვს) ერთობ აგვიანებენ საქმეების გათავებას. ამის გამო ადგილობრივნი მცხოვრებნი სასამართლოებს ცილდებიან და თვითნებობით სწყვეტენ საქმეებს. ამ რიგივე სამწუხარო შედეგი მოსდევს მომრიგებელი სასამართლოის სიშორეს, (რომელიც მისი ოლქის გავრცელებისაგან წარმოსდგება) და გადატანა მომრიგებელი კრების ვალდებულებისა ოლქის სასამართლოზე, რომელიც მიყრუებულ ადგილებიდამ ერთობ შორს არის.

„კავკასიის აწმყო მდგომარეობის დამცველებს უყვართ ადგილობრივ მცხოვრებელთაგან რუსული ენის უცოდინარობაზე მითითება, როგორც იმ მიზეზზე, რომელიც უშლის იქ ნაფიცთა სასამართლოის შემოღებას. სრული ჭეშმარიტებაა ადგილობრივთ მცხოვრებლების უმრავლესობამ, განსაკუთრებით სოფლებში, არ იციან რუსული. მაგრამ არ შეიძლება ვერ შევამჩნიოთ რომ რუსულის მცოდნეთ რიცხვი თან-და-თან მატულობს. როგორც უკანასკნელმა საერთოდღეო აღწერამ აღმოაჩინა ტფილისში მცხოვრებელთ ერთი ნახევრის მეტი თავისუფლად(?) ლაპარაკობს ამ ენაზე; თითქმის მიყრუებულ სოფლებშიაც ასეა მდიდართ ვაჭართა, ხელოსნების და გლეხთა შორის. ხანამ „დიდებულებათა წესდების“ 100 მუხ. დადგენილია 100,000 მცხოვრებთაგან შემდგარი მაზრის ნაფიცთა მსაჯულების მორიგი სიისათვის 400 კაცი, და იმ მაზრებისათვის კი სადაც მცხოვრებნი 100,000 ნაკლებია — 200 კაცი. რუსულის მცოდნე კაცთა ამდენი რიცხვის პოვნა, მგონია კავკასიის ყოველ მაზრაში შეიძლება. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ამ სიებში მუდამ ერთი-და-იგივე პირი მოჰყვება, და ამ ნაირად თავის ვალდებულების ხშირად მიტოვებით ხალხის კეთილ-დღოება დაზიანდებაო. მაგრამ ამ დამაბრკოლებელ მიზეზის აცდენა შეიძლება სხდომაზე დამსწრე ნაფიცთა რიცხვის შემცირება რვამდე ანუ ექვსამდე. ადგილობრივ მცხოვრებელთაგან რუსული ენის უცოდინარობა არა თუ დააბრკოლებს ნაფიცთა სასამართლოის შემოღებას, არამედ კიდეც შეაძლებინებს მას მათ შორის უფრო უნაკლულობით აღმოცენებას, ვიდრე რუსეთის იმპერიის სხვა ადგილებში. საქმე ის არის, რომ ადგილობრივნი მცხოვრებნი რუსულ ენას სკოლებში სწავლულობენ. ნაფიცთა მსაჯულების რუსულის მცოდნეთაგან შეკრება, თავის-თავად შექმნის განათლების ცენზს, რომელიც, თქმა არ უნდა, რუსეთში მიღებულს ქონებითი ცენზს სჯობია. რაც შეეხება დანარჩენს მიზეზებს, რომელთაც რუტინერები წამოაყენებენ ხოლმე აწმყო სასამართლო წესების დასაცველად კავკასიაში, მაგ. მცხოვრებელთა ველური წინ-ზრახვა, რომელიც არ შეაძლებინებსო მათ სასამართლოში რიგიანი წარმომადგენელის ყოლას, განათლებულთ კაცების მცირე რიცხვი და სხვ, და სხვ... ამისთანა მიზეზთა უსაფუძვლობის დამტკიცება არც კი ჰღირს, რადგანაც ამ რიგივე მიზეზებზე უთითებდნენ ხოლმე რუსეთშიაც თავდაპირველად სასამართლო რეფორმების შემოღების დროსაც, მაგრამ საქმემ აღმოაჩინა მათი სრული უსაფუძვლობა.

„სასურველია აგრეთვე, რომ კავკასიის მომრიგებელთ სასამართლოებში, რომელთაც უმთავრესად რუსულის უმეცარს ხალხთან ექნებათ საქმეები, საქმის წარმოება ადგილობრივს ენაზედ მიდიოდეს. ეს საშუალება სასამართლოს საჯაროდ შექმნის და ღარიბს კაცს მეანგარე და უმეცართ მთარგმნელებისაგან გაანთავისუფლებს. ეავე საშუალება დააჩქარებს საქმეთა წარმოებას სასამართლოდამ მათის სრულიად აშორებით. ამ შემთხვევაში კავკასიის მრავალ-ენოვანობისა და ტომობის გამო „შიში“ სრულიად უადგილოა. ყოველს მაზრაში ან ნახევარ მაზრაში, რომელიც მომრიგებელ სასამართლოს ოლქს შეადგენს, უთუოდ რომელიმე ადგილობრივი ენა კი ჰსუფევს, რომელიც ყველა ადგილობრივ მცხოვრებლებს ესმის.“

პატივცემულს გაზეთს „მოლვას“ ჩვენ ყველაფერზე ვეთანხმებით ერთ ადგილს გარდა, რომელზედაც „დროებას“ არა ერთ—გზის წარმოუთქვამს თავისი აზრი. ეს გახლავთ ენა, რომელზედაც უნდა სწარმოებდეს საქმენი ჩვენს ადმინისტრაციულს და სასამართლო ყველა დაწესებულებებში. ეს ენა საქართველოში უნდა იყოს ქართული, დაღისტანში ადგილობრივი და სხვ. და სხვ. პატივცემული „მოლვა“ კი მარტო მომრიგებელ სასამართლოში აძლევს ამ ენებს ადგილს... მაგრამ იყო დრო, როცა ამ დაწესებულებაშიაც არ უნდოდათ მათი შეშვება... იმედია ხვალ ჩვენი აზრისვე შეიქმნენ ამ საქმეზე და მითი ცოტათი მაინც მოსცხონ მალამო ჩვენს მშვენიერს მაგრამ ბედკრულს ხალხს.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრ საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ორშაბათს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუჩარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**სამშაბათს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეისი—თვალისა, ბაზოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., გერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუჩარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., გერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაზოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეისი—თვალის

ბაბოლევი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი — შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბ ა ბ ა ე ვ ი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხ-შაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი)

დოქტორი ყ უ რ ა ვ ლ ე ვ ი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ო ბ რ ე ს ტ ი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., შარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

---


## განცხადებანი

მომავალი ოკტომბრის პირველიდამ ამა წლისა ვხსნი ქ. **გორში** სახლს, რომელშიაც ამ წლობით, ე. ი. მამავალ 1881 წლის ენკენისთვემდი, **მიიღებიან** თხუთმეტიდამ ოცამდე **მოსწავლე ბავშვები** რომელთაც ექნებათ საწოლი, სასადილო და საკითხავი ოთახები. ამავე სახლში მიიღება ჯერ-ჯერობით მუქთად ერთი რომელიმე ძალიან ღარიბი მოსწავლეთაგანი, ვინემ ადგილობრივს სასწავლებელს გაათავებდეს; ამასთანავე ბავშვებზე იქნება ზედამხედველობა მათის ზნეობის დასაცველად და სწავლაზედ თვალის დაჭერა. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ პირობების და ფასის შესატყობლად ქ. გორში, საკუთარს სახლში.

ანდრონ თუთაევი.

(10—1)

## მანდილოსნების

სწორი ტილოს საყელოები: აგრეთვე კაცების და ბავშვებისაც. დიდ-ძალი პორტმანები პატარა და დიდს ფულებისთვისაც; პორტ-სიგარი, პორტ-ვიზიტი და საჯიბე. შიკური ალბუმები; სხვა-და-სხვა ნესესერი, გლიცერინის საპონები. ამ დღეებში ველი დიდ-ძალს კასტორის შლაპებს კაცებისათვის. სტეფანე მანველოვის მაღაზია გოლოვინის პროსპექტზე მდივანის სახლი.

(3—1)

## ზომიერ ფასით

ორივე სქესის ყმაწვილებს მიიღებენ პანსიონერებათ და სანახევროდ პანსიონერებად და პროგიმნაზიის კურსის სავნებიდამ გაკვეთილებს აძლევენ. ჩუღურეთი, პანასეინის ქუჩა, ყოფილ სამხედრო კრების მახლობლად, მერაბიევის სახლი.

(4—1)

დამშეულთ სასარგებლოდ ყოფილის გამოფენის დაბოლოვებით მოსპობის გამო არის

დ ი დ ი

## დაყიდვა

ზეთიერი და აკვარელის სურათებისა გასაკვირველ იაფად, ბ. მირზოევის ყოფილს სამხატვრო გამოფენაზე, გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლში ვესტლის ფოტოგრაფიის გვერდით. გაყიდვა იწყება ამ თვის 4-დამ ამავე წლის 1 პირველ ოკტომბრამდე. იმავ რიცხვიდამ გამოფენის სადგომის ერთი წილი ჰქირავდება. იქვე ეზოში იყიდება რკინის განჯინები (შკაფები).

(8—1)


# ანგარიშთა მდგომარეობა

### ქუთაისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკისა.

1 ივლისს 1880 წლისა.

**აქტივი.**

| | | | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| კ ა ს ს ა: | | | | | |
| ა) ნაღდი ფულით | | | | 21,133 | 46 |
| ბ) გირავოს ფურცლებით. | 107,900 | | | | |
| სარგებლიანი ქაღალდები, ბანკის სასაკუთრონი: | | | | | |
| ა) სახელმწიფო სარგებლიანი ქაღალდები, სახელმწიფო ბანკში შენახულნი | 100,000 | 91,637 | 50 | 147,631 | 52 |
| ბ) სხვა გვარი სარგებლიანი ქაღალდები | 62,100 | 55,994 | 2 | | |
| სარგებლიანი ქაღალდები საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელის თანხისათვის | 8,800 | | | 8,096 | . |
| სარგებლიანი ქაღალდები სასტიპენდიო თანხისათვის | 2,800 | | | 2,541 | 50 |
| მიმდინარე ანგარიშები: | | | | | |
| ა) სახელმწიფო ბანკში | | 1,358 | 10 | 15,766 | 82 |
| ბ) ტფილისის სავაჭრო ბანკში | | 1,073 | 17 | | |
| გ) ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | | 13,335 | 55 | | |
| საწევრო ფული ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში | | | | 30 | . |
| სესხნი, გაცემულნი: | | | | | |
| ა) სოფლის მამულებზე, 43 წლითა და 6 თვით | | 544,800 | . | 1,166,600 | |
| ბ) ქალაქის მამულებზე, $18\frac{7}{12}$ წლით. | | 621,800 | . | | |
| მოკლე-ვადიანი სესხები | | | | 132,972 | 12 |
| მოვალენი: | | | | | |
| ა) გადასახადი ფული, რომელსაც ლგოტა აქვს | | 50,994 | 41 | 55,795 | 22 |
| ბ) გადასახადი ფული, ვადას გადაცილებული | | 4,800 | 81 | | |
| გირავოს ფურცლები, საკომმისსიოთ მიღებულნი | 370,900 | | | 315,290 | . |
| კუპონებში გადახდილი ფული | | | | 32,438 | . |
| ტირაჟში გამოსულს გირავოს ფურცლებში ნაზღვევი ფული | | | | 8,900 | . |
| სხვა-და-სხვა დებიტორები | | | | 3,163 | 79 |
| ხარჯები, დასაბრუნებელნი | | | | 2,456 | 33 |
| ხარჯები, მოწყობა-მორთულობაზე. | | | | 4,413 | 52 |
| ხარჯები, მმართველობაზე და სხვაზე. | | | | 12,720 | 67 |
| | | | | 1,929,948 | 95 |

შენიშვნა: გირავოს ფურცლები, შესანახავად მობრუნებულნი 35,800.

**პასსივი.**

| | | | | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ძირის თავნი | | | | 454,306 | 15 |
| სათადარიგო თანხა | | | | 8,271 | 68 |
| საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებელი თანხა | | | | 19,265 | 75 |
| სასტიპენდიო თანხა | | | | 2,688 | 75 |
| მსვლელობაში მყოფნი გირავოს ფურცელნი: | | | | | |
| ა) $43\frac{1}{2}$ წლიანნი | 544,800 | . | | 1,166,600 | . |
| ბ) $18\frac{7}{12}$ „ | 721,800 | . | | | |
| თავნის მოსასპობი თანხ: | | | | | |
| ა) $43\frac{1}{2}$ წლიანის | 1,666 | 61 | | 13,668 | 43 |
| ბ) $18\frac{7}{12}$ „ | 12,001 | 82 | | | |
| სარგებლის თანხა: | | | | | |
| ა) $43\frac{1}{2}$ წლიანისა | 16,336 | 89 | | 34,875 | 68 |
| ბ) $18\frac{7}{12}$ „ | 18,538 | 79 | | | |
| ყოველ-წლიური შემოსატანი ფული შესადგენლად საძირო და სათადარიგო თანხათა და სხვ | | | | 16,348 | 25 |
| სხვა-და-სხვა სარგებელი | | | | 11,405 | 97 |
| ერთი დროებით შემოსატანი ფული | | | | 5,140 | 64 |
| სარგებელი მოკლე ვადიანთა სესხთა | | | | 6,400 | 86 |
| ჯარიმა | | | | 1,303 | 36 |
| ფული, გადადებული ტირაჟში გამოსულის გირავოს ფურცლების საზღვეველად | | | | 18,600 | . |
| „ „ კუპონების საზღვეველად | | | | 55,065 | . |
| გადასაცემი ფული | | | | 14,480 | 94 |
| სხვა-და-სხვა კრედიტორები | | | | 100,705 | 29 |
| ღერბის ქაღალდის გადასახადი | | | | 449 | 25 |
| კომმისსია და კურტაჟი. | | | | 372 | 95 |
| | | | | 1,929,948 | 92 |

ბანკის სამმართველოს თავმჯდომარე ნ. ღოღობერიძე.
დირექტორი ნ. ერისთავი.
ბუხგალტერი მ. კამკოვი.

Дозволено цензурою. Тифлисъ 10 Сентября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი